

გეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მომავალი აკრედიტაციისათვის მზადება

გეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მომავალი აკრედიტაციის მისაღებად (2027 წელი) დაწყებულია სასწავლო კურსების (სილაბუსების) ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით გადამუშავება, შევსება და განახლება. აკრედიტაციის პროცედურის წარმატებით გასავლელად მიმდინარეობს სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების შევსება, გადაიარაღება და ახლის ჩამოყალიბება, ეს განსაკუთრებით ეხება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის თანამედროვე დონეზე შესასრულებლად საჭირო თანამედროვე მეთოდების და კომპიუტერული პროგრამების დანერგვას, რაც კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად არის აუცილებელი. სწორედ ამ გეგმის განხორციელების პროცესის გაცნობის ნაწილია გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით ა.წ. 6 დეკემბერს ჩატარებული პრეზენტაციები ქართული თანამედროვე გეოლოგიური ლიტერატურის (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები), განახლებული ლაბორატორიებისა და სასარგებლო წიაღისეულის მუზეუმის შევსებული კოლექციების შესახებ.

ამ გეგმის განხორციელების ნაწილია გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში განხორციელებული სამუშაოები და სამომავლო გეგმები. დეპარტამენტის მიღწევები ასეთია:

- ა) გასულ წელს, გერმანიის კარლსრუეს ტექნოლოგიის ინსტიტუტის (KIT) დახმარებით, საჩუქრად გადმოგვეცა საშლიფე ლაბორატორია;
- ბ) დამთავრებულია პრეპარირების კომპლექსური ლაბორატორიის მოწყობა;
- გ) ნაწილობრივ შეივსო მინერაგრაფიის ლაბორატორია მიკროსკოპებით;
- დ) მიმდინარეობს ჰიდროგეოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვა;
- ე) GIZ-ის მხარდაჭერით გადმოცემულია სავლე და ლაბორატორიული აღჭურვილობა;
- ვ) არემჯის დახმარებით შეძენილია ფიზიკური თვისებების გასაზომი ხელსაწყო-მოწყობილობები;
- ზ) გრანტებისა და თვითდაფინანსების ცენტრში შესრულებული პროექტების შემოსავლებიდან განხორციელებულია სხვადასხვა ხელსაწყო-მოწყობილობის შეძენა;
- დ) საინჟინრო გეოლოგიის (გეოტექნიკა) ლაბორატორიაში მექანიკური პარამეტრების განსაზღვრისთვის აუცილებელი მოწყობილობების შეძენა დაგეგმილია 2025 წლისათვის;
- ი) გამოცემული ქართული თანამედროვე გეოლოგიური ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები);
- კ) სასარგებლო წიაღისეულის მუზეუმის განახლებული კოლექციები.

სასწავლო პროცესთან ერთად დეპარტამენტში „გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის“ (№362), ბაზაზე ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. ცენტრი ამჟამად აკრედიტებულია (სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 - GAC-TL-0198) 14 სფეროში და აქვს 82 საკვლევი პარამეტრი. ასეთი რაოდენობის გამოსაცდელი პარამეტრი საქართველოში მხოლოდ ერთეულ ლაბორატორიას აქვს. ლაბორატორია წლების განმავლობაში ახალ-ახალ აკრედიტებულ სფეროებს იმატებს. გმნკდგრ

ცენტრში საექსპერტო-სადიაგნოსტიკო, სამეცნიერო კვლევებს, პროექტებს, გრანტებს ასრულებენ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დარგში წამყვანი მინერალოგები, პეტროგრაფები, გემოლოგები, მადნების სპეციალისტები, ინჟინერ-გეოლოგები, ჰიდროგეოლოგები, გეოეკოლოგები.

კვლევები ხშირად ითვალისწინებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, სხვა მუზეუმებთან, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან და კერძო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობას. განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანია მუზეუმების საგანძურში დაცული საინტერესო და ზოგჯერ უნიკალური ძეგლების სიღრმისეული შესწავლა. შემდგომში დაგვარად ხორციელდება უძველესი ძეგლების და სხვადასხვა არტეფაქტის შემადგენელი მასალის, მინერალების რაობის, მათი ნივთიერი და ქიმიური შედგენილობის, წარმომავლობისა და დამუშავების ტექნოლოგიის გამოკვლევა.

აღნიშვნის ღირსია ცენტრში შესრულებული, ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა: „ქართულ-ბიზანტიური ტიხროვანი მინანქრის მინერალოგიურ თავისებურებათა კვლევა“; „საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვარის მინერალური შედგენილობის გამოკვლევა“; „გრაკლიანის გორის ამგები მასალისა და იქ აღმოჩენილი არტეფაქტების მინერალოგიურ-ლითოლოგიური გამოკვლევა“; „ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების და იქ მიმდინარე პროცესების კომპლექსური გამოკვლევა“; „დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში დაცული ოქროს ნაკეთობების ქიმიური შედგენილობის კვლევა“; „მცხეთის ჯვრის მონასტრის ამგები ქანების რაობისა და მდგომარეობის შესწავლა“; „უშგულის კომპლექსის ამგები ქანების და დულაბის გამოკვლევა“ „ძველი და ახალი ქვევრების, მათი დამზადებისათვის გამოყენებული ნედლეულისა და ქვევრების დამზადების ტექნოლოგიის კომპლექსური შესწავლა“ და ბევრი სხვ.

სასწავლო პროცესში აქტიურადაა ჩართული გეოლოგიური პროფილის სამი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია-მუზეუმი: სასარგებლო წიაღისეულის მუზეუმი; გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მუზეუმი; მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მუზეუმი. წლების განმავლობაში მიმდინარეობს კოლექციების განახლება და ახალი ნიმუშების დამატება.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ბოლო წლებში განხორციელებულია სამეცნიერო გრანტები: „ყაზბეგ-ომალის რეგიონის ფიქლის გაზის პერსპექტიული ლოკალური უბნების დეტალური გეოლოგიური შესწავლა“; „სარდიონის მძივები და საკიდები სამთავროს სამაროვნიდან“ (საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად); „საქართველოს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ქვები“ (ალ. თვალჭრელიძის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტთან ერთად); 2023 წლის დეკემბრიდან მიმდინარეობს „ძველი და ახალი ქვევრების ნედლეულისა და ტექნოლოგიის კვლევა“. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტებში ჩართული არიან სტუდენტები, გრანტის მხარდაჭერით სისტემატურად ფინანსდება საველე ექსპედიციები, სადაც მკვლევრებთან ერთად, მაგისტრანტები და დოქტორანტებიც მონაწილეობენ. მათ მიერ შეგროვილი გამორჩეული ნიმუშები გამოფენილია მუზეუმებში.

მნიშვნელოვანია წლების განმავლობაში დეპარტამენტის ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარებული კონფერენციები - „სამთო საქმისა და გეოლოგიის განვითარება ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“, სადაც სამეცნიერო მიღწევებთან ერთად, განიხილება სამთო საქმის და გეოლოგიის დარგებში დაგროვილი მნიშვნელოვანი საკითხები, პრობლემები და

სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი რესურსული პოლიტიკა, რომელიც სამთო-გეოლოგიური დარგის განვითარების თანამედროვე გამოცდილებასა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესის უახლეს მიღწევებს ეფუძნება. კონფერენციის მონაწილეების მიერ მომზადებული რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც ეხება რეფორმას, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ სამთო-გეოლოგიური დარგის გაძლიერება და განვითარებაა; კერძოდ, სახელმწიფომ უფრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს თავისი უფლებები და მიზანმიმართულად განახორციელოს ღონისძიებები წიაღისეული რესურსების (მოსაპირკეთებელი ქვების, მადნეული და არამადნეული წიაღისეულის) დაძვივების, ახალი საბადოების აღმოჩენის, სამთო წარმოებისა და სხვა საკითხების მოსაგვარებლად. ამიტომ აუცილებელია ქვეყანაში გეოლოგიური საქმიანობისა და სამთო წარმოების მეტი ცენტრალიზაცია, კოორდინაცია, გრძელვადიანი მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება და მისი განუხრელად გატარება. ერთობლივად შესამუშავებელია სამთო-გეოლოგიური კოდექსი (წიაღის ახალი კანონი), რომელიც დაარეგულირებს იმ სპეციფიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება წიაღის, მინერალური რესურსების შესწავლის და მოპოვების პროცესში და მოაგვარებს ამ პროცესში წარმოქმნილ ეკოლოგიურ პრობლემებს.

კონფერენციაში მონაწილეობს საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო და კერძო სამთო და გეოლოგიური ორგანიზაცია.

ბოლო წლებში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა გარემოსა (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) და მინერალური რესურსების (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) ეროვნულ სააგენტოებში, თუმცა მათმა გაყოფამ და თანამშრომლებისა და ფუნქციების გადანაწილებამ ორ სამინისტროზე სასურველი შედეგი არ გამოიღო. საჭიროა მეტი კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებთან, განსაკუთრებით, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

ღონისძიებაზე პროფესორმა, ვაჟა გელიეშვილმა, ისაუბრა სასარგებლო წიაღისეულის მუზეუმის კოლექციების შევსებასა და თანამედროვე, ახალი დარგობრივი ქართული ლიტერატურის გამოქვეყნების თაობაზე. აღნიშნა რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, მან მუზეუმს რამდენიმე ასეული საკოლექციო ნიმუში გადასცა საჩუქრად, მისი ავტორობით ათამდე სახელმძღვანელოა გამოცემული.

საინტერესო იყო მოწვეული პროფესორის, თორნიკე ლიპარტიას, ინფორმაცია მოკლევადიანი კურსების შესახებ. რომლის მიზანია კურსდამთავრებულების გადამზადება მყარი წიაღისეულის საბადოებისა და მადნეული მინერალების შესწავლის კუთხით.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სტუ-ს პრეზიდენტი, პროფესორი, ზურაბ გუდავაძე, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ანზორ აბშილავა, რომლებმაც ისაუბრეს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე ბოლო წლებში განხორციელებულ რეფორმებზე.

ღონისძიებას მიესალმა “არემჯის” აღმასრულებელი დირექტორი, ჯონი შუბითიძე, რომელმაც კომპანიის სახელით მზაობა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის თანამშრომლები კვლავ ჩაერთვებიან და სათანადო დახმარებას გაუწევენ გეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების მომავალი აკრედიტაციის პროცესში. ისინი მზად არიან რჩევების, რეკომენდაციების გარდა, მატერიალურადაც დაეხმარონ ფაკულტეტს.

გეოლოგიის დარგში არსებულ საკითხებსა და პრობლემებზე ისაუბრეს მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ანდრო ასლანიშვილმა, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, მერაბ გაფრინდაშვილმა, თსუ-ს გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა თამარ წუწუნავამ, ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორმა, ზურაბ ლომსაძემ, ილიაუნის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა არჩილ მაღალაშვილმა. მათი აზრით უფრო სწრაფად უნდა დაინერგოს თანამედროვე მიდგომები და დაიწყოს საქართველოს ბუნებრივი რესურსების საერთაშორისო ნორმატივების შესაბამისი კლასიფიკაციით ერთიანი რეესტრის შექმნა. მიზანშეწონილია სახელმწიფო გეოლოგიური სამსახურების აღდგენა თუნდაც რეგიონულ სამსახურებში. აუცილებელია გეოლოგიის დარგში ქართული ტერმინებისა და გეოლოგიური რუკების პირობითი ნიშნების ერთიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა.

შეხვედრის ბოლოს მასპინძლებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს სასარგებლო წიაღისეულის მუზეუმის კოლექციები და გაეცნენ თანამედროვე ახალ ქართულ ლიტერატურას (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები). გავლილმა დღემ გულთბილ, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა თუ რაოდენ საჭირო, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა და გარემოს მდგრადი განვითარებისათვის, გეოლოგიის დარგის სიძლიერე და გეოლოგიის სპეციალობით პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება.